ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ78. 78250643**

თარიღი:**05/03/2025**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემისათვის ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი

ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მეოთხე ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა“ და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 თებერვლის N4-5 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ონში, ვახტანგ მე-6 -ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 340.0 კვ.მ. (ს/კ 88.18.24.128) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემისათვის.

3. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის (N1) შესაბამისად.

4.ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5.დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის

შესახებ განაცხადების განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი